



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 38

„07“ ივნისი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის  
მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უპირობოდ, თხოვნის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით არასამთავრობო ორგანიზაცია ვორლდ ვიჟენ საქართველოს (სამართლებრივი ფორმა უცხოური საწარმოს ფილიალი) 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ართანაში მდებარე 2732.00 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა - ნაგებობიდან (განაშენიანების ფართი 529 კვ.მ) შენობის პირველ სართულზე არსებული 36.9 კვ.მ (ს/კოდი №53.15.34.038, ღირებულებით 9000 ლარი), სოფელ ნაფარულში მდებარე 1460.00 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა - ნაგებობიდან (განაშენიანების ფართი 261.90 კვ.მ) შენობის პირველ სართულზე არსებული 29.5 კვ.მ (ს/კოდი №53.14.40.009, ღირებულებით 7800 ლარი), სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე 2323.00 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობიდან (განაშენიანების ფართი 228.5 კვ.მ) შენობის პირველ სართულზე არსებული 21.6 კვ.მ (ს/კოდი №53.02.35.029, ღირებულებით 8100 ლარი).

- 2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
- 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გორგობიანი